შპს „სერვის პლაზა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია....6
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა....7
განცხადება შესაბამისობის შესახებ....7
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში....7
ფული და ფულის ეკვივალენტები....8
1. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები....12
2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები....13
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....13
4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....14
5. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები....14
6. ფინანსური რისკები....15
7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება....16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	Note	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		28,854	55,115
არამატერიალური აქტივები		-	1,961
		28,854	**57,076**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		935,549	744,270
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	517,644	449,438
ფული და ფულის ეკვივალენტები		53,281	13,071
		1,506,474	**1,206,779**
სულ აქტივები		**1,535,328**	**1,263,855**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		370,700	370,700
გაუნაწილებელი მოგება		(294,910)	(315,004)
სულ კაპიტალი		**75,790**	**55,696**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი მიღებული სესხები		-	-
საიჯარო ვალდებულებები		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4	1,445,626	1,173,504
მოკლევადიანი მიღებული სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		13,912	34,655
		1,459,538	**1,208,159**
სულ ვალდებულებები		**1,459,538**	**1,208,159**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,535,328**	**1,263,855**

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-16 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	Note	2023	2022
ამონაგები		2,585,354	2,702,289
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,422,300)	(1,307,127)
საერთო მოგება		**1,163,054**	**1,395,162**
სხვა შემოსავალი		-	12,700
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	1	(128,910)	(1,391,802)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2	(1,025,110)	(192,141)
ცვლილება საგარანტიო ანარიცხებში		-	(43,819)
საოპერაციო მოგება		**9,034**	**(219,900)**
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,525)	(1,525)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა		12,585	28,418
მოგება დაბეგვრამდე		**20,094**	**(193,007)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**20,094**	**(193,007)**

საქართველო, შპს „სერვის პლაზა“
სერვის პლაზა
SERVICE PLAZA
401983430
GEORGIA SERVICE PLAZA LLC

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-16 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023	2022
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,265,824	2,772,243

მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(721,355)	(1,627,733)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,199,640)	(979,293)
გადახდილი გადასახადები	(295,612)	(223,927)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	49,217	(58,710)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა	49,217	(58,710)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(9,007)	(9,437)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა	(9,007)	(9,437)
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა	-	-
წმინდა ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	40,210	(68,147)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13,071	65,211
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		16,007
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	53,281	13,071

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-16 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2021	370,700	(121,997)	248,703

დამფუძნებელთა შენატანი კაპიტალში	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(193,007)	(193,007)
31.12.2022	**370,700**	**(315,004)**	**55,696**
დამფუძნებელთა შენატანი კაპიტალში	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	-	20,094	20,094
31.12.2023	**370,700**	**(294,910)**	**75,790**

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი
ნინო ფირცხალავა

7-16 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს "სერვის პლაზა" (შემდგომში „კომპანია") დაარსდა 2013 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ჩაჩავას ქ., N2-4-6-8-10-12.

შპს "სერვის პლაზა" არის სერვისი, რომელიც ახორციელებს ელექტრო ტექნიკის შეკეთებას. იგი გაყიდვებს ახორციელებს მარკეტის ტიპის მაღაზიის მეშვეობით, ასევე აქვს სასაწყობე და საოფისე ფართი, სადაც ხდება ელექტრო ტექნიკის შეკეთება, აქვს ადგილზე მისვლის სერვისიც. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს საერთაშორისო და წამყვანი ბრენდების ელექტრო ტექნიკის შეკეთებას, კონდიციონერების მონტაჟს და დემონტაჟს.

2022 წლიდან კომპანიის წილის 100%-ს ფლობს შპს ალტა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ,,მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის '' (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებლეთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს. მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დანაკლისის ღირბეულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-

ნოტას გავს და ამ შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავალში აღიარება.

კომპანიის მიერ შესყიდული საქონელი ზოგიერთი დეფექტურია, ამ შემთხვევაში კომპანია იძახებს შემოსავლების სამსახურს და ბრენდის წარმომადგენელს, მათთან შეთანხმებით ხდება დეფექტური საქონლის ჩამოწერა, რომელიც შემდგომ აისახება ხარჯებში შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული აქტის საფუძველზე. აღსანიშნავია რომ მომწოდებლი უნაზღაურებს კომპანიას წუნდებული საქონლის ღირებულებას და მის შეძენაზე დახარჯულ ზედნადებ ხარჯებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ამჟამად კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7-30
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5-12
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირბეულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, წარდგება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 5-10 წლის მანძილზე. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა აქტივის

სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნიბისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ

ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებშ და მათაც ასევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს „სერვის პლაზა“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტარანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვადებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაობების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ბინუსების სისტემა (თანამშრომლებზე)

კომპანიას აქვს გამომუშავების სისტემა, რამოდენიმე თანამშრომელს რომლებიც ახორციელებენ ტექნიკის შეკეთებას აქვთ ფიქსირებული ხელფასები და გამომუშავების შემთხვევაში თუ გადააჭარბებს თანხა ფიქსირებულ ხელფასს ამ შემთხვევაში ემატებათ გამომუშავებული თანხა.

1. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	2023
მიწოდების ხარჯი	(22,305)
სხვა	(106,605)
	(128,910)

2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023
პერსონალის ხარჯი	(667,489)
საოფისე ხარჯი	(67,290)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(9,409)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(37,230)
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	(202,627)
სხვა	(41,065)
	(1,025,110)

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	629,011	374,056
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(202,627)	-
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	91,260	75,382
	517,644	**449,438**

4. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,161,180	943,323
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები	51,321	35,630
სხვა ვალდებულებები	-	-
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	233,125	194,551
	1,445,626	1,173,504

5. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები ხორციელდება საბაზრო ფასებით. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2023
ამონაგები		
დამფუძნებელი	1,786,513	814,472
სხვა საწარმოები	43,753	28,931
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(81,122)	(68,714)

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
დამფუძნებელი	572,807	736,917
სხვა საწარმოები	2,651	14,097

6. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით, რაც ნიშნავს, რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარებში ღირებულების გაზრდის გამო.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	53,281	13,071
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	426,384	374,056
	479,665	**387,127**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,212,501	978,953
მიღებული სესხები	-	-
საოჯარო ვალდებულებები	-	-
	1,212,501	**978,953**

7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 27 სექტემბერს.

შპს „სერვის პლაზა“-ს დირექტორი

ნინო ფირცხალავა